



ფინანსური ანგარიშგება

შპს ნორბი

2023 წელი 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებები	6
ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	6
მომზადების საფუძველი	6
ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტა	6
უცხოური ვალუტა	7
ფუნქციონირებადი საწარმო	7
ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება	8
ფინანსური აქტივი	8
ფინანსური აქტივების გაუფასურება	8
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9
სხვა არამატერიალური აქტივები	10
საოპერაციო იჯარა	10
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
სავაჭრო მოთოხვნები	10
კაპიტალი	11
შემოსავლის აღიარება	11
ფული და ფულის ეკვივალენტები	11
დივიდენდის განაწილება	11
მარკეტინგული ხარჯი	12
რისკები	12
საკუროსო სხვაობის რისკი	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წელი

შპს ნორბი	2023	2022	2021
მიმდინარე აქტივები	572347	561857	1968163
ფულადი სახსრები და მათი ქვევივალენტები	355056	1010497	345124
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	625126	547984	681190
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული თანხები	0	0	0
მარეგები	564548	477159	330058
მარეგები	564548	477159	330058
სხვა მოკლევადიანი აქტივები	273067	714438	66613
ძირითადი საშუალებები	1966359	561857	572347
მთლიანი აქტივები	3784156	3311935	1995332
გრძელვადიანი ვალდებულებები		1428088	1845157
გრძელვადიანი სესხები		1428088	1845157
მიმდინარე ვალდებულებები	1555074	1567112	1710669
მოკლევადიანი სესხები	268	268	15520
კრედიტორული დავალიანებები	194971	47227	14470
ხელფასები		4500	
გადასახდელი დივიდენდები			
სხვა ვალდებულებები	1512239	1515117	1525084
მთლიანი ვალდებულებები	3552635	2995200	1555074
კაპიტალი	440258	316735	412640
საწესდებო კაპიტალი	141588	141588	141588
გაუნაწილებელი მოგება	89933	175147	298670
მთლიანი კაპიტალი	231521	316735	440258
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	3784156	3311935	1995332

ნინო ყოლბაია

დირექტორი



2023 წლის სრული შემოსავლების ანგარიში

	2022	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	1667725	1968559
თვითღირებულება	-952466	- 1103256
საერთო მოგება	715259	865303
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	0	104567
ხელფასები	-404616	-415093
საპროცენტო ხარჯები		-184781
დისტრიბუციის ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯები	-280731	-297485
საოპერაციო მოგება	29912	72511
საპროცენტო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	97518	4438
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-211028	-32404
წინა პერიოდის ხარჯის კორექტირება	-39925	-129759
2019 წელი		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	-123523	44545
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	-123523	44545

ნინო ყოლბაია

დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ნორბის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას. შპს ნორბი არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: ქ. თბილისი, წყალსადენის ქ. #13.

შპს „ნორბის“ დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

01007000368, ნადეჟდა გომელაური 10%

01006018937, ნათია ჯავახი 10%

01007008502, ნინო ყოლბაია 30%

01007002214, გიორგი გაბუნია 42.5%

59701137037, ,, გიორგი ბურჭულაძე, საქართველო, რუსეთის ფედერაცია 7.5%

კომპანიის დირექტორი არის ნინო ყოლბაია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კვების პროდუქტებისა და ბავშთა მოვლის საშუალებებისა და აქსესუარების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით და მათი რეალიზაცია საბითუმო და საცალო მოვაჭრეებზე.

კომპანია ასევე ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიას, სადაც განთავსებულია მისი პროდუქციის სრული ასორტიმენტი.

საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა 2023 წლის მანძილზე იყო 13 ადამიანი.

2. მომზადების საფუძველი

(ზოგადი ინფორმაცია)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

3. ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

4. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარში) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ყოველი თვის ბოლოს თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. არაფულადი მუხლები გადაანგარიშებულია 2021 წლის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები 31/12/2023 თარიღისათვის არის შემდეგი

1EUR/GEL - 2,9753

1USD/GEL - 2,6894

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

5. ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში. ასევე ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში.

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

6. ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვადლებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისათვის.

7. ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც მოიცვენებს მათ სამართავად.

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს-15-ის შესაბამისად.

8. ფინანსური აქტივების გაუფასურება

2022 წელს კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ჩამოეწერა დაბალ თანხიანი უიმედო სავაჭრო მოთხოვნები მოგება ზარალის ანგარიშგებაში და ეღიარებინა ზედმეტად გადახდლი თანხები შემოსავლად და გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნები ხარჯად. გამომდინარე ბაზარზე არსებული რთული ვითარებიდან, კომპანიას მუდმივად უწევს არაკეთილსინდისიერ ან გადამხდელუუნარო კომპანიებთან ურთიერთობა, საიდანაც თანხები ამოღება ხდება ძალიან ძნელი, სასამართლო გზებითაც. სწორედ ამიტომ კომპანიამ უტყუარი და სამართლიანი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით უიმედო ვალებით გაზრდილი დაბიტორული დავალიანება შეამცირა და დაიყვანა რეალურ მაჩვენებლზე.

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

10. ძირითადი საშუალებების ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	5-20
მანქანა-დანადგარები	5-12
კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5-12
სხვა ძირითადი საშუალებები	5-20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
დაუმთავრებელი მშენებლობის მოწყობა	არ იცვითება

11. სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა), რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, აღრიცხულია თვითღირებულებით. და ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, 10 პროცენტის განაკვეთით.

12. საოპერაციო იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სასაწყობე ტერიტორია, საოფისე ფართთან ერთად, საოფისე ფართი 2023 წლის მარტის თვეში გადასცა გამქირავებელს და საცალო გაყიდვებისათვის განკუთვნილი მაღაზია დახურა. ორივე იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები გამოქვითულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და საწყობში მიტანასთან.

ინვენტარიზაციას კომპანია ახორციელებს პერიოდულად, კერძოდ სასაქონლო მარაგების დათვლა ხორციელდება ყოველთვიურად და შედარება ბუღალტრულ ჩანაწერებთან.

წლის ბოლოს გენერალური ინვენტარიზაციის შემდეგ ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალური მაჩვენებლების ბუღალტრულ მაჩვენებლებთან შედარება და აღრიცხვა.

14. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია ძირითადად მუშაობს კონსიგნაციაზე, დებიტორული დავალიანების ამოღების საშუალო პერიოდი განსაზღვრულია 60-დან 90 დღემდე. 2022 წელს კომპანიის შეფასებით გარკვეული დებიტორული დავალიანებები საჭიროებს გადახედვას, და საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნას. დებიტორულ დავალიანებაში იჯდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების დანაკლისი, რომლის ჩამოწერაც მოხდა 2023 წლის მოგება-ზარალში, მოგება-ზარალში ჩამოიწერა და ხარჯად აღიარდა ასევე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უძრავი დებიტორული დავალიანებების ნაშთი

15. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით, ხოლო ჯგუფი საწესდებო კაპიტალი კრების ოქმით. ცვლილება კომპანიის წესდებასი ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში რომელშიც იგი გამოცხადდა, დივიდენდის განაწილება ხდება ეტაპობრივად, ვალდებულებად აღიარება ყოველ წელს, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 3 თვის მანძილზე. დივიდენდის განაწილება ხორციელდება წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.

16. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს აქვს ადგილი:

- 1, კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა,
- 2, ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება და კონტროლი.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

18. დივიდენდის განაწილება

2022 წელს განისაზღვრა გაუნაწილებელი მოგების გასაცემი დივიდენდად განაწილება. რითიც გაიზარდა კომპანიის ვალდებულება პარტნიორების წინაშე. 2022 წლის მანძილზე ძირითადი დაგროვილი მოგება რეინვესტირდა.

19. მარკეტინგული ხარჯი

მარკეტინგული ხარჯი მოიცავს მყიდველებთან გაფორმებულ ქსელში წარდგენისათვის გადახდილ ხარჯებს, საპრომოციო აქციებს, რეტრო ბონუსებს და სხვა გაყიდვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

20. რისკები

საკუროსო სხვაობის რისკი

1. კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე აქვს საკუროსო სხვაობების რისკი. მშობელი საწარმოს ტრანზაქციების დიდი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში, რადგან საქონელი რომლის რეალიზაციასაც კომპანია ეწევა არის სრულად იმპორტირებული, და იმპორტთან დაკავშირებული ტრანზაქციები ხორციელდება აშშ დოლარსა და ევროში. შვილობილ საწარმოს გააჩნია სესხი უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად ეს ტრანზაქციები ჯგუფს საკუროსო რისკს უქმნიან.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულისა და მისი ექვივალენტების ფლობას, ასევე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს საოპერაციო ვალდებულებები.

შპს „ნორბი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მიმდინარე აქტივები:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული საბანკო ანგარიშებზე - 350050

ნაღდი ფული-814

ფული ანგარიშვალდებული პირების ანგარიშზე-4193

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 625126 ლარი ოდენობით მოიცავს დებიტორულ დავალიანებას მიმდინარე კლიენტების ანგარიშებზე.

მარაგები მტლიანად შედგება მზა პროდუქციისგან საწყობში

სხვა მოკლევადიანი აქტივები შედგება მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსებისგან

ძირითადი საშუალებები:

1294739 დაუმთავრებელი მშენებლობა

669816 მიწა და სხვა ძირითადი საშუალებები

1804 არამატერიალური აქტივი, ბუღალტრული პროგრამა ორისი

კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულების სახით საბანკო სესხი პროკრედიტ ბანკში, რომლის ღირებულება ასახულია ბალანსში გრძელვადიანი ვალდებულების ნაწილში 1845157 ლარის ოდენობით.

მიმდინარე ვალდებულების ნაწილში სხვა ვალდებულების მუხლით ასახული დაგროვილი გამოცხადებული გასანაწილებელი დივიდენდი, რომლის განაწილების დროც კომპანიამ ინვესტიციის განხორციელების შემდეგ გადაწია სამომავლოდ.

შემოსავალი რეალიზაციიდან მთლიანად მოიცავს გაყიდული საქონლიდან მიღებულ შემოსავალს დღგ-ს გარეშე.

სხვა არასაოპერაციო შემოსავალის ნაწილში კომპანიას შემოსავლად აღირებული აქვს აწარმოე საქართველოს პროგრამის ფარგლებში მიღებული სუბსიდია პროცენტის სახით..

საპროცენტო ხარჯებში შედის პროკრედიტ ბანკში აღებული სესხზე დარიცხული პროცენტი. სხვა საპროცენტო ხარჯი კომპანიას არ გააჩნია.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩნდა რომ წინა წლებში არ იყო ხარჯად აღიარებული მოგების გადასახადი, თუმცა მუდმივად ხდებოდა გაცემული დივიდენდის მოგების გადასახადის გადახდა. ამან გამოიწვია კომპანიის საბუღალტრო ბარათზე საგადასახადო ზედმეტობა, რაც დაკორექტირდა 2023 წელს და საგადასახადო შედარების აქტის საფუძველზე აღიარდა დაგროვილ მოგება ზარალში.

ცვლილებების განმარტება

2021 წლის ანგარიშგებაში არ იყო დარიცხული თანამშრომლებზე გაცემული ბენეფიტზე დარიცხული საშემოსავლო აღიარებული ხარჯად 1151,60 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წელს 1287,42 ლარის ოდენობით,

2022 წელს შეცდომით იქნა გატარებული იმპორტირებულ მომწოდებელზე დარიცხული ჩასათვლელი დღგ რომლის კორექტირებამაც გამოიწვია ვალდებულების ბიუჯეტის მიმართ გაზრდა 18747,21 ლარის და მარეგების საბოლოო ნაშთის გაზრდა 477159 ლარიდან 495044 ლარამდე, და ბიუჯეტის დავალინების 17499

2022 წელს არ იყო დარიცხული დივიდენდზე გადახდილი სასემოსავლო 5 პროცენტის ოდენობით 2631,5 ლარი, რამაც გამოიწვია 2022 წლის გადასახადის ნაშთის შემცირება

ასევე არ იყო დარიცხული ამავე დივიდენდის მოგების გადასახადი 11812,27

ჯამური ცვლილება ბიუჯეტის მიმართ ვალდებულების ციფრში განისაზღვრა 35630 ლარით

ასევე არ იქნა დარიცხული წინა პერიოდებში გადახდილი მოგების ყოველთვიური გადასახადი 45954 ლარის ოდენობით.

ნინო ყოლბაია
დირექტორი
მმართველი პარტნიორი
2023 წლის 22 ოქტომბერი

თბილისი

